სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და ,,წერა-კითხვის გამ. საზოგადოების'' წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ.
მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
,,ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ''
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა
ფასი 20 კაპ.
ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—1)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა ,,შრომა“.
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შარიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს.
მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—1)

ა. ს. როინაშვილის
## ფოტოგრაფია,
რომლისთვისაც შენდება ახალი სახლი, დროებით გადავიდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის ქარვასლაში სასახლის ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია მისი განყოფილება „რემბრანტის“ ფირმით. (5—4)

შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 20)

აუარებელი რიცხვი
## საკერავი მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
## ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა
ს. პ. პავლოვისა და ამხ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К-о
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин.
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
ВЕЛОСИПЕДОВЪ



(100 - 35)

## ამზადებს
საქალებო სკოლებისათვის, სასულიერო სასწავლებლისთვის და სასულიერო სემინარიის პირველ კლასისათვის.
ადრესი: г. Тифлисъ. Вознесенская ул. д. № 51. С. Картвелову. (5—3)

## განიხვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
## დაფასება
სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорієвичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—38)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საყისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ქართული გალობა მეტეხის ეკკლესიაში. ბატ. დუმბაძე არც ციხეში ჰკარგავს ცუდ-უბრალოდ დროს. თვისი ნაყოფიერი შრომა აქაც გაუნაწილა თავის თანატანჯულებს. მან სულ ხუთ-ექვსი დღის განმავლობაში შეადგინა ტუსაღებისაგან მგალობელთა გუნდი და კვირას, 14 ივნის, პირველად იგალობეს მეტეხის ეკკლესიაში; ამ მცირე ხნის მომზადების შემდეგ გუნდმა მშვენიერად იგალობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ციხეში საზოგადოდ აკრძალულია სიმღერა-გალობა-კი არა, ხმის დაძვრაც-კი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რა დამატკბობელი და სასოებაში მომყვანია წირვა-ლოცვა მგალობელთა ტკბილის ხმით შეზავებული, აი სწორედ ამისთვის იყო, რომ გარეშე ხალხით გაივსო ეკკლესია და თვით ტუსაღებით ხო სავსე იყო, რომელნიც ადრე უგულოთ მიდიოდნენ საყდარში. ბ. დუმბაძე მადლობის ღირსია ამ კეთილ-საქმისათვის. მით უმეტეს რომ, აქ მგალობელთა გუნდი არასოდეს არ ყოფილა.

*** კურს-დამთავრებული სოხუმის საქალებო პროგიმნაზიაში. წლეულს აქაურს 4 კლ. საქალებო პროგიმნაზიაში კურსი დაამთავრა 8 ქალმა. აი მათი გვარებიც: 1) ვახანია ო., ჯგვიშია ე., მიმინოშვილი ელპ. დელიანოვისა, პროხოროვიჩისა ა., თურქიასი მარ. ჩხენკელი მ., და ფილიპევისა. მათ შორის 6 ქართველია, 1 რუსი და 1 სომეხი. ყველა მათგანს უფლება აქვთ განაგრძონ საქალო გიმნაზიებში და უეგზამენოდ შევიდნენ პირ-და-პირ მე-V კლასში.

*** კურს-დამთავრებული ქართველები. წელს ტფილისის მე-2 კლასიკურ გიმნაზიაში კურსი დაამთავრა და მიიღო სრული ატესტატი 36 მოწაფემ; მათ შორის ოთხი მოწაფე ქართველია: ასათიანი კონდრატი, გაბაშვილი დიმიტრი, კობახიძე ლეონიდე და ხიმშიაშვილი ვალერიანე. გარდა ამისა კურს დასამთავრებელი ეგზამენი მოიხადა და სრული ატესტატი მიიღო ორმა გარეშე პირმა, რომელთაგან ერთი ქართველია ნათაძე გრიგოლი.
ტფილისის რეალურ სასწავლებლის მე-7 დამატებითი კლასის კურსი დაამთავრა და სათანადო მოწმობა მიიღო 18 მოწაფემ. კურს დამთავრებულთა შორის არ არის არც ერთი ქართველი.
— ტფილისის მე-3 საქალებო გიმნზიის კურსი დაამთავრა 16 მოწაფე ქალმა, რომელთაგან მხოლოდ ერთია ქართველი: ელ. ვაჩნაძე.

*** საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში. გუშინ, 15 ივნისს, გაიხსნა კურსები ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელ ვაჟთა და მასწავლებელ ქალთათვის. თავდაპირველად ყველა მასწავლებლები, კურსების მმართველის ნ. გ. ტატიშვილისა და გამგე კომისიის წევრთა ი. ი. ფერაძისა და ა. ი. ნატროშვილის მეთაურობით, წარუდგნენ ლოცვა-კურთხევის მისა-

ღებად საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს, მთავარეპისკოპოსს ფლაბიანეს. შემდეგ ყველა მასწავლებლები, გარეშე მსმენელნი, ლექტორნი და კურსებზე დასწრების ყველა მსურველნი შეიკრიბნენ სასულიერო სემინარიაში, სადაც ლოცვის შემდეგ შეუდგნენ მეცადინეობას. მეცადინეობის დაწყებამდე გამგე კომისიის წევრმა ბ. ნატროშვილმა მიმართა სიტყვით მასწავლებელთ. კურსების მსმენელთ ბლომად მოიყარეს თავი, სულ 70 კაცამდეა. გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით, მათი რაოდენობა ასეთია: ტფილისის მაზრიდან—12, გორისა—13, თელავისა—3, სიღნაღისა—6, თიონეთისა—2, ბორჩალოსი—4; გუბერნიების მიხედვით: ერევნის გუბერნიიდან – 4, განჯისა – 3, ბაქოს -10 და ყარსის ოლქიდან—7 კაცი. მათ გარდა, კურსებზე დასასწრებლად გამოცხადდნენ თავიანთი სურვილით კიდევ სხვა მასწავლებელნი ქალნი და ვაჟნი. ლექციების კითხვა დაიწყება 22 ივნისს.

*** **საზაფხულო პედაგოგიური კურსები ქუთაისში.** გუშინ, 15 ივნისს გაიხსნა ქუთაისში საზაფხულო პედაგოგიური კურსები იმერეთის ეპარქიის სამრევლო და დაწყებითი სკოლების მასწავლებელ ვაჟთა და მასწავლებელ ქალთათვის.

*** **სავაჟო პროგიმნაზია ოზურგეთში.** სახალხო განათლების სამინისტრომ სასურველად სცნო დაარსებულ იქმნეს ოზურგეთში სავაჟო პროგიმნაზია იმ პირობით, რომ მისი შესანახი ხარჯი სანახევროდ ადგილობრივმა საზოგადოებამ იკისროს. როგორც ვიცით, ოზურგეთი ჰპირდება მომავალ პროგიმნაზიის უსასყიდლო სადგომს და გარდა ამისა, ყოველ-წლიურ სუბსიდიას.

*** **საზოგადო ყანთარი დ. ხონში.** დ. ხონში მოაწყვეს საზოგადო ყანთარი, რომელთანაც რიგრიგობით მუშაობენ ადგილობრივი ინტელიგენტები და სამასწავლებლო სემინარიის მოწაფენი. გირვანქა პარკი ყანთარზე იყიდება 36 კაპ.; 8 ივნისს ყანთარზე გაიყიდა 150 ფუთი პარკი. ადგილობრივი მცხოვრებნი მეტად კმაყოფილნი არიან ყანთრისა და იმ ცხოველი მონაწილეობისა, რომელიც განათლებულმა პირებმა მიიღეს ხალხის სასარგებლოდ. ბევრს მუშაობს აგრონომი ქუთათელაძე. („ჩ. ვ.“)

*** **დახმარება მოუსავლიანით დაზარალებულთათვის.** იმ ორი ათას მანეთიდან, რომელიც მიიღო სამეურნეო საზოგადოებამ მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად, ტფილისის გუბერნიისათვის გადადებულ იქმნა 850, რომელიც განაწილებულია ამ სახით: თელავისა და სიღნაღის მაზრებისათვის—ორას-ორასი მან., ტფილისისა და დუშეთის მაზრებისათვის—ას-ასი მან., ბორჩალოს მაზრისათვის—175 მან., სოფ. რუისისათვის, გორის მაზრა, 50 მ. და თიონეთის მაზრისათვის—25 მან.

*** **ამერიკელი მეცნიერები კავკასიაში.** მომავალი თვის დამდეგს, როგორც ისმის, რუსეთში მოვლენ რამდენიმე ამერიკელი მეცნიერი, რომლებიც შეუდგებიან კავკასიისა და ყირიმის ისტორიული ადგილების გამოკვლევას.

*** **გზის გაყვანა.** რადგან ალბულაღის გზა მეტად გრძელია, ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ გადასწყვიტა გაიყვანოს გზა ტფილისიდგან ალბულახისაკენ სოღანლუღსა და კოდზე; გზის ბეგარას მოიხდიან ადგილობრივი მცხოვრებნი კოდამდე მუშაობით, ხოლო კოდიდან ალბულახამდე ფულით.

*** **ინგლისელთა სანავთო კომპანია.** როგორც გაზ. „კასპი“ სწერს, ლონდონში დაარსებულა ახალი კომპანია სახელწოდებით „რუსეთ-ბაქოს სანავთო კომპანია“ რომელსაც ძირითად თანხად ჰქონია ერთი მილიონი და ხუთას-ათასი გირვანქა სტერლინგი; ეს თანხა გაყოფილია 750,000 ჩვეულებრივსა და 750,000 არა ჩვეულებრივ აქციად. ამ კამპანიის მოქმედების პროგრამა მეტად მრავალ მხრივია. სახელდობრ ამ კომპანიის მიზანია: შეისყიდოს, იჯარით აიღოს, საჯარო ვაჭრობით და ან კიდევ სხვა საშუალებით შეიძინოს ნავთიანი ადგილები რუსეთში და სხვაგან; დაბურღოს ნავთის წყაროები, გადაზიდოს, გაყიდოს, კომისიონერობა გასწიოს და გასწმინდოს ნავთისა და სხვა მადნეული ზეთი, შეიძინოს, გამართოს,ააშენოს და შეაკეთოს ქარხნები, ნავთის მილები, აუზები, ბელლები, გაზის ქარხნები, „კონკა“, რკინის გზები, ნავთ საშენებელი ადგილები, არხები, გემები, ტელეფონები და ტელეგრაფები; შეიძინოს, შეამუშაოს მადნები ან სხვა სახით მიიღოს მონაწილეობა ლითონისა, მადნეულობისა და სხვ. წარმოებაში. ხმა დადის, თითქო ამ კომპანიის დირექტორად იქნება განსვენებულ გლადსტონის შვილი და რომ შიბაევის კამპანიის ზოგიერთი აქციონერები ახალ კამპანიას შეუერთდებიან.

*** **საჯარო განმარტება.** ბ. რედაქტორო! მთელი წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „ცნ. ფურცლის“ 11 თიბათვის ნომერში ნავთლუღის წმ. ბარბარეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლაში სწავლების საქმის მშვენივრად მსვლელობის შესახებ, სიმართლეს ძლიერ მოკლებულია. ამ სკოლის შაგირდების გამომცდელმა კომისიამ მოახსენა ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს სულ სხვა აზრი ამ სკოლაში სწავლების საქმის მდგომარეობის შესახებ. სახელდობრ მან განაცხადა, რომ გაუგებარ მიზეზთა გამო ხსენებულს სკოლაში არ არის მესამე განყოფილება.

გამომცდელი კომისია

*** **ჯერხანა ჯიბგირობა.** სხვისის ოფლით და ნაშრომით კვება ცხოვრება ამ ბოლო ხანებში ზოგიერთა ვაჟბატონებმა ხელობათ გაიხადეს. სხვა ქვეყნებში თუ დღე დღეზე ნაირ-ნაირ გამოგონებას იგონებენ, სხვა და სხვა მანქანებს აკეთებენ ცხოვრების უკეთესად მოწყობისთვის, ჩვენში, ტფილისშიაც არ გახლავან უკან ჩამორჩენილნი თავიანთი ხელობით წინმსვლელობას. რამდენ ნაირ საშუალებებს არ მიმართვენ ხოლმე სხვათა ჯიბე უბეებში ხელების სანავარდოთ?—არც ზნეობა, არც სინიდისი აღარ შერჩენიათ; მოწესრიგესაც-კი აღარ ერიდებიან და პოლიციას კი რომ ერთხელ მაინც არის თავისი სეხხი იმათთვის ეჩვენებინოს, მაშინ ხომ ასე თამამად არ იფარფაშებდნენ ჩვენს „კურთხეულს“ ქალაქში.

ასე თავზე ხელ-აღებული ვაჟბატონები უფრო მოურიდებლად ავლაბარში – კახეთის გზაზე დათარეშობენ. მათი სანადირო და ასპარეზი კახეთის ქუჩა და საბრალო გლეხები გამხდარან.—ამ ვაჟბატონებს რომ შეხედოთ გარეგნულად, ეჭვიც კი არ შეგეპარებათ მათ ავ ხელობაზე. აცვიათ პატიოსნურათ—„სტაცკურათ“: ტროსტ-ცილინდრით გამოწყობილნი. უბეში უძევთ გადასაშლელი საფულე, რომელშიაც ულაგიათ ფულის მზგავსი უბრალო ქაღალდები; ზოგი ას მანეთიანს ჰგავს, ზოგი—ოცდა ხუთიანს. ზოგი—ხუთიანს, ზოგი—თუმნიანს. აი ამ საფულეთი და ყალბი ფულით იტყუილებენ მრავალ დაუკვირვებელ და გულუბრყვილოთ. თუ როგორ ახერხებენ გლეხთა გაბრიყვებას—ქვემოთ დავინახავთ.

ესენი უთვალთვალებენ სოფლებიდან ჩამოსულს გლეხებს, ვინ რა გაყიდა, ან რა აიღო გაყიდულში და მერე ისე გამოაცლიან ხელიდან ფულს, რომ ვერც კი ესმით თვითონ გლეხებს იმ დრომდის, ვინემდის გაბრიყვებული მიიჩქლამება. აი ნამდვილი სურათი, მრავალ გზის მომხდარი:

ვსთქვათ გლეხმა გაყიდა საქონელი, ჩაიდო ფული ჯიბეში, სახეზე ღიმ გადაკრულმა გასწია სოფლისკენ; ვინ იცის რამდენ ნაირ ხარჯ-ბარჯის და ვალის გასტუმრებას არა ფიქრობს გუნებაში! ეს არა რჩებათ შეუნიშნავად ჯიბის ოსტატ ვაჟბატონებს, აედევნებიან, ერთი წინ აუვლის და მიატანს თუ არა კახეთის ქუჩაზე ხევს, გოგილის აქეთ, და წინანდებულ პალატის ქვეით აგდებს საფულეს. საფულე გადიშლება და გამოჩნდება შიგნიდან ფულის მზგავსი ქაღალდები. გლეხი დაინახავს თუ არა გადაშლილს საფულეს, დასტაცებს ხოლმე ხელს და ჯიბეში იკრავს. „ეჰ, ეხლა კი ღმერთმა გადმომხედა“. გაივლის რამდენსამე ნაბიჯს თუ არა, მიეწევა უკანიდან მეორე (განზრახ „ფულის“ დამკარგავის ამხანაგი) სწვდება იღლიაში და ეუბნება:

— ეეე, ძმობილო! ეგ ფული რომ აიღე მეც მომეცი წილი, თორემ, „გარადოვოის“ შევატყობინებ.

— რა ფული? ეკითხება დაბნეულ გაშტერებული გლეხი.

— კარგად დავინახე! გამიყავი, თორემ ეხლავე პოლიციას ვეძახი. გლეხი სთანხმდება: კარგი, გავიყოფო. ლაპარაკით მიდიან და თან წილის მთხოვნელის თხოვნით მიყრუებულს ქუჩისკენ უხვევენ: არავინ დაგვინახოსო. ამავე დროს მოდის გაჩქარებით „ფულის დამკარგი“ ვაჟბატონი, მწუხარებით, ტირილ-ქვითინით:

— მიშველეთ, დავიღუპე, ფული დავკარგე... ყელი მეჭრება, ნუ დამიმალავთ, თუ გამჩენი გწამსო.

გლეხს თითქოს ეცოდება, ლამობს ფულის მიცემას.

— გიჟი ხომ არა ხარ, „ატკაზი“ (უარი) უთხარ: არ მინახავს თქო, ეუბნება მოწილადე გლეხს და მერე მიუბრუნდება „ფულის დამკარგველს“:

— არა ძმაო, ჩვენ არაფერი გვინახავს.

— მაშ რა იქნა, ეხლა დავკარგე, თქვენ აგიღიათო და თან აქეთ იქით ფაცურობს. მეორე ამხანაგი გლეხს ეუბნება:

— აიღე და შენი საფულე მიეცი. ამის მეტი არაფერი მაქვს თქო და დარწმუნდება, რომ მაგის ფული ჩვენ არ გვიპოვნია.

გაბრიყვებული გლეხიც თავის ქისას აძლევს.

— აი ძმაო ჩემი ფულიანობა, ნახე ეს არის?

ქისას ართმევს ფულის დამკარგი და ჰერი, მოჰკურცხლავს.

— დახედე რა ქნა მაგ ვირ... მაო იძახის მეორე და უკან მისდევს ვითომ დასაჭერად. გლეხი უყურებს ცოტა ხანს და მერე იძახის:

— ეჰ, ჯანდაბას! მანდ მარტო სამი თუმანი იყო და აქ კი მთელი ხაზინაო.

მიდის გლეხი, მერე გაშლის საფულეს, გადაშინჯავს „ფულებს“ და... ის დაემართოს თქვენს მტერს, რაც იმას ემართება, თითქო მეხი დაეცაო, ჩაიჩოქებს:

— ვაიმე, ვაიმე და ვაიმე! ცოლშვილო დაღუპულო! რით გავისტუმრო სახემწიფო, მანთაშეს ვალი, არტემასი და ნალბანდის ნისია?

*** **დ. ცხინვალი.** **ყოვლად სამღვდელოს გორის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება.** წარსული თვის მაისის 25 დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ადგილობრივი ეკკლესიის გალავანში, გაისმა რა ხმა ზარის რეკისა, დიდის აღტაცებით და სიხარულით მოელოდნენ თავიანთ მამულიშვილს ახლად ხელ დასხმულს მათ მეუფებას ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს. გალავანში მწყობრად იყვნენ დამწკრივებულნი ადგილობრივი ნორმალური სასწავლებლის მოწაფეები ქალნი და ვაჟნი თავიანთი მასწავლებლითურთ. გახდა ხუთი საათი ნაშუადღევისა თუ არა და კიდევაც მობრძანდნენ მათი მეუფება, ეკკლესიაში დახვდნენ ადგილობრივი ბლაღოჩინის თანაშემწე მ. ს. კენჭაძე, რადგან თვით ბლაღოჩინი პატარა ლიახვზედ მიეგება. გალობდნენ ახლად შემდგარი ხორო სამღვდელო პირთაგან მამა დ. კაპანაძის ლოტბარობით. ეკკლესიის ბჭეში მამა კენჭაძემ მიმართა შემდეგის სიტყვით მათ მეუფებას: „თქვენო მეუფებავ, ყოვლად უსამღვდელოესო. ყოვლად მოწყალეო მამაო! დღეს აქ შემოკრეფილი სამღვდელოება და მასთან ერი დიდი სიხარულით გვგებათ და მადლობას სწირავს ღმერთს, რომ ასე მალე ეღირსნენ თქვენი მეუფებისაგან ლოცვა კურთხევის მიღებას, რადგან [illegible] მის პირველად ხედავს ეს მათ. იმ პატარა [illegible] საქართველოს, რომელმაც დაჰბადა თქვენი მეუფება. აგრეთვე დიდს მადლობას ვსწირავთ ჩვენს მხცოვანს ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს, რომელმაც თვისი პირობაში შვილი აღზარდა თვის გემოვნებაზედ და სიცოცხლითვე დაგვიყენა ჩვენთვის ბადლად სანუგეშებლად ჩვენდა. შემოვედ მეუფეო სახლსა უფლისასა, შესწირენ ლოცვა და გვაკურთხენ ჩვენ! რათა ლოცვა კურთხევა შენი გვიძღოდეს ჩვენ ყოველ კეთილ საქმეში აწ და უკუნისამდე“. ჩამოლოცვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, აკურთხა ერი და წაბრძანდა ს. ხეითში შესასრულებლად წლის წირვისა განსვენებულის დეკანოზის ალექსი დავიდოვის მეუღლის სულის მოსახსენებლად. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მეორე დღეს დიდძალმა ხალხმა მოყარა თავი ს. ხეითში ახლად ხელ დასხმულის ჩვენის მამულიშვილის ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდის წირვის მოსასმენლად ქართულს ენაზედ, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა და ხალხის სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. გალობდნენ ძმანი დავიდოვები. დიდძალმა სამღვდელოებამ მოიყარა თავი, თითქმის გორის მაზრის სამღვდელოებას ბევრი აღარავინ აკლდა. სადილიც ქართულ გემოვნებაზედ იყო მოწყობილი, რომელმაც სასიქადულოდ და ჩინებულად ჩაიარა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს გორის მაზრაში ეს პირველი მაგალითი გახლდათ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია ყველაზედ. ნასადილევს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი თავისი სვიტით და მხლებლებითურთ დაბრუნდნენ ქალაქს.

მეთვალყურე

*** **სოხუმი.** **დამხრჩვალის პოვნა.** ამას წინად მდინარე ჩალბაშში, ხიდთან, აქაურის ზეინკალის კოზლოვსკის პატარა ექვსის წლის ქალი ჩავარდა. ჩავარდნის დროს ბავშვი პატრონთ და არც სხვას ვისმე გარეშეს არ უნახავს. ას რომ პირველში დანამდვილებ კიდევ არ იცოდნენ, ქალი წყალში ჩავარდა, თუ სადმე დაიკარგა. მაინც ძებნას შეუდგნენ და მესამე დღეს დამხრჩვალი ბავშვი ხიდიდან 20 მხარის მოშორებით იპოვნა ს. სეფიათის მცხოვრებმა სოლომონ ოჩიგავამ.

*** **გურია.** **ასევ ჯახუთის დედათა სავანის გამო.** ბ-ნ თავისუფალის წერილი „ცნობის ფურცლის“ 525 №-ში იმის შესახებ, რომ ვითომ მე საღმთო სჯულის მასწავლებლად ვიყო განწესებული ჯიხეთის სკოლაში და გაკვეთილებს სანახევროდ ვაცდენდე სხვა-დასხვა საქმეების გამო და ამის მიზეზით საღმთო სჯულის სწავლების საქმე სხვა საგნებზე შედარებით უკან იყოს ჩამორჩენილი, სრულიად მოკლებულია სიმართლეს.

რაც შეეხება საღმთო სჯულის

მასწავლებლად დანიშვნას ხსენებულ ჯიხეთის სკოლაში, მე ჯერ არ გამიგია და ბ. თავისუფალმა საიდგან გაიგო, არ ვიცი. მე მხოლოდ ეს ვიცი, ხსენებულის სავანის წინამძღვარსა და გამგეს სკოლისას დედა ელენას 9 მარტიდამ 1898 წ. უთხოვნია, სადაც ჯერ არს, ჩემი დანიშვნა სღმთო სჯულის მასწავლებლად ჯიხეთის სკოლაში, მაგრამ მე ჯერ მთავრობისაგან არავითარი ცნობა არ მიმიღია ხსენებული საგნის მასწავლებლად დანიშვნაზე და სანამ მოწერილობას არ მივიღებ, მანამ თავის თავს არ ვსცნობ მოვალედ, რომ სღმთო სჯული ვასწავლო ჯიხეთის სკოლაში.

ბ. თავისუფალს, ვგონებ, უნდა შერცხვეს ამ ნაირი ცოცხალი ტყუილისათვის. მე როგორც მღვდელი ამ ცილის წამებას მიუტევებ, ხოლო მკითხველებთან კი ქუდ მოხდით გადაიხადოს ბოდიში ამ ნაირი სიცრუისათვის, და იმედი მაქვს ისინიც აპატიებენ, შემდეგისათვის გაფრთხილდეს და რაც ბეჯითათ არ იცის, იმ საგანზე ლაპარაკს ნუ დაიწყებს.

მღვ. ვ. ხონელია

*** **ხოპი** (სამეგრელო). **კეთილი საქმე.** 8 ამ თვეს, 2 საათზედ ...ბაბა ზუგდიდიდან გზა-ტკეცილის ... ვერსის მანძილზე გვერდზე გავლით მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-მეგრელიის ეპისკოპოზი ალექსანდრე ხოპის მონასტერში, მიუხედავად ძლიერი წვიმისა მას დაუხვდა მრავალი ხალხი. ეკკლესიის წესისამებრ მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ კათედრიდან წარმოსთქვა: „მოციქული და მახარებელი იოანე ღვთის-მეტყველი მოძღვრებდა, რათა ჰყოფდენ მშვიდობას და სიყვარულს მე აქ, მშვიდობისათვის მოვედი, მე მსურს თქვენში იყოს მშვიდობა, სიყვარული და ერთობა!

„თქვენ აქ გაბარიათ საქართველოს სასიქადულო სიწმინდე, როგორიც არის ღვთის მშობლის პერანგი, შესანიშნავი (სიდიდით) ძელი ჭეშმარიტი, წმ. ქალწულ მოწამეების: მარინა და კვირიკესი მარჯვენა ...ლავები და სხვ. წმინდათა ნაწილები. ძვირფასი ხატები და ჯვრები. ...ამეების სასოებით და შიშით ...და შემოხვიდეთ დიდებულ ტაძარში; მშვიდობა და სიყვარული, ... იქნება, ღმერთიც იქ განისვენებს, რომელიც სულით გაცხოვენებსთ და ხალხისაგან დაიმსახურებთ სიყვარულს და პატივისცემას.

„ამას ვისურვებ თქვენგან, მე ...ეს ვსწირავ ჩემი ჯიბიდგან ათას მანეთს, რათა ამ თანხის სარგებლისაგან აქ მსვენარე სიწმინდების წინაშე მსურს მუდამ იყოს გაუქრობელი ლამპარი“. ამ მიზნით ...ლი წლის საყოფი ლამპრის ფასი იქვე წინამძღვარს გადასცა; ხოლო ასი თუმანი ამ თავით ხოპის მონასტრის სახელზე ამ საგანზე ...გან შეტანილი იქნება თბილისის ბანკში“...

...ათასი მანეთის სარგებელი 5% ...მებრ იზამს 50 მანეთს. წლი...დში ფუთი გინა ფუთ ნახევარი ...ულიად საკმაოა. წმინდა ზეთი ...იდება 8—10 მანეთი. დანარჩენი 40 მანეთი ყოველ წლიწადს მონასტერს შეემატება. ამ სახით, სასიქადულო მღვდელთ-მთავარმა დასტოვა აქაც საუკუნო კეთილსახსოვარი კვალი. ბევრი სხვა სიკეთესაც მოელის გურია-მეგრელო ეპარქია უხვი, მადლიანი მარჯვენისაგან თვისისა, რადგან ბრძანა: „ვიზრუნებ ამ ჩემი სამშობლო ქვეყნისათვისაო“. ხოლო ჩვენც ვისურვოთ მხცოვან მწყემსთმთავრის ხანგრძლივი სიცოცხლე..

კალისტრატე

*** **ს. ზანა** (სამეგრელო). **მეოთხე საბოქაულოს მომატების შესახებ.** ამას წინედ „ცნ. ფურც.“-ში მოხსენებული მქონდა, რომ, როგორც შევიტყვეთ მეოთხე საბოქაულო უნდა მოუმატონ ზუგდიდის მაზრაში მეთქი. ეს ჩემი შეტყობინება მართალი გამოდგა: დამტკიცდა, რომ უნდა გაიხსნას მეოთხე საბოქაულო ზუგდიდის მაზრაში, ხოლო სად იქმნას გახსნილი, ამის გადაწყვეტა მიენდო ადგილობრივ მაზრის უფროსს, რომელსაც წარუდგენია, სადაც ჯერ იყო, რომ გახსნილიყოს სოფ. ჭაქვინჯში ეს დაწესებულება. მაგრამ ჩემის აზრით ეს დიდი უკანონობა იქნება, რადგან სოფ. ჭაქვინჯი მდებარეობს ზუგდიდის საბოქაულოდან 7—8 ვერსის მანძილზეა და წალენჯიხის საბოქაულოდან 8—9 ვერსის მანძილზე, ხოლო ჩვენ ზანელებს, ეს ახალი დაწესებულება გვშორდება 25 ვერსით. მასთან არც სხვა რაიმე სოფლის პირობები, თუ გარემოებები მოითხოვდა, რომ ჭაქვინჯში გახსნილიყო ეს საბოქაულო. ხოლო ზანელებისთვის დიდი საჭირო იყო, რადგან ყველა საბოქაულოები ჩვენგან შორს არის, მაგალითად რედუდ-კალესი, რომელსაც ჩვენი სოფელი ეკუთვნის, გვშორდება 30 ვერსით.

ადგილ მდებარეობა და ჰაერი შესანიშნავია, როგორც ამაზე დაგვემოწმება ყველა ზანაში ნამყოფი, ან გამვლელ-გამომვლელი, ვსთქვათ, მაზრის ექიმი ბ. პანიევი და სხვ. აგრეთვე რამოდენიმე სავაჭრო დუქნებია გამართული, გვაქვს სასოფლო სასამართლო, სოფლის აფთექა, წერა-კითხვის სკოლა, სამინისტრო სკოლა დი სხვ. აგრეთვე სადაც ეს დაწესებულებებია, იქ გადადის დიდი სათემო გზა. ამას გარდა მოსაზღვრე სოფელი უფალი-კარი (სენაკის მაზრა) ნამდვილი ქურდების ბუდეა და ზანელები ერთიანად აკლებულ ვართ უფროსების სიშორისა გამო. ამ მაისშიაც ერთი ცხენი ძროხათი და სამიცხვარით მოგვპარეს. პატარა ზანაში, რომელიც ამ საზოგადოებას ეკუთვნის, ეკკლესია გასტეხეს. მამულზე გლეხებს გვარად შარტავეებს ჩხუბი მოუვიდათ და 70 წლის კაცი მოჰკლეს. ნუ თუ ამ გვარ სოფელში არ არის მართებლობა საჭირო?

როგორც ეხლა გავიგეთ, ბ. მაზრის უფროსის კეგაშოვის წარდგენილება არ დაუმტკიცებიათ რაღაცა მიზეზების გამო და მაშინ, რასაკვირველია, სოფ. ზანას არ ასცილდება ეს მეოთხე საბოქაულო, რომელსაც ეკუთვნოდეს იქნება შემდეგი ახლო-მახლო სოფლები: სს. ლესიჭინე, ახუთი, კირცხი, საჯიჯაო, ხორში, ხიბულა, ზენი და თვით ზანა, რომლებიც შეადგენენ ერთს საბოქაულოს და არც ერთი არ ჰშორავს ს. ზანას 8 ვერსტზე. რვაზე მეტი თითო საბოქაულოს არც ხვდება, რადგან ზუგდიდის მაზრაში სულ 32 საზოგადოებაა. თუ მაინცა და მაინც ზანაში არ იქნება დაარსებული ეს დაწესებულება, იმ შემთხვევაში ზანის შემდეგ ს. კირცხს ეკუთვნის პირველობა და თუმცა იქაც არ იქმნება, იმ შემთხვევაში უკეთესია გამოგვრიცხონ ზუგდიდის მაზრიდან და ახალ-სენაკს მიგვაწერონ, რადგან ახალ-სენაკი 14—15 ვერსის მანძილზეა ჩვენგან და ყველაფერი სენაკში გვემხრობა.

— **ჟურნალ.-გაზეთების რაოდენობა.** ჩვენს სოფელში მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, «Новое Обозрѣніе», «Нива», «Журналъ для Всѣхъ». Вокругъ Свѣта», «Формъ», «Вѣстникъ» და «Акушерка».

გურულ-მეგრელი

*** **სოხუმი. თ. ნ. წერეთლის გადაყვანა.** სოხუმის ოლქის ხარკის ინსპექტორი თ. ნიკ. ვარლ.—ძე წერეთელი აქედან ბათომში იქმნა გადაყვანილი, ხოლო მის მაგიერ დანიშნეს ბ. ევგ. მარკოვი (შვილი ტფილისის 1 გიმნაზიის დირექტორისა). თ. ნ. წერეთლის გადაყვანამ ძალიან დაალონა აქაური საზოგადოება. ყველას პატივისმცემელის, თავაზიანის, ყველას დამხმარებლის მოშორება დიახაც გულს დასწვავდა აქაურებს. იმასთან ერთად, თავი დაგვანება კნეინა ელის. წერეთლისამ და მათმა ქალმა თავადის ასულმა ანას. წერეთლისამ. არც ერთი საქველ-მოქმედო წარმოდგენა ისე არ გაიმართებოდა აქ, რომ ამ პატივცემულ პირთ თავთ არ ედვათ საქმის გაძღოლა. ბევრ დაწესებულებათ, თუ კერძო პირთ აღმოსჩენიათ მათის დაუზარელობის მეოხებით შველა და დახმარება. ამიტომ, მოსალოდნელიც იყო, რომ დავალებული საზოგადოება შესაფერისად გააცილებდა და პატივსა სცემდა წამსვლელთა. წასვლის ღამეს, 26 მაისს აქაური საზოგადოება გემზე შეჰყვა პატივცემულ ოჯახობას ზურნით და დიდს ხანს ულოცავდნენ გულწრფელად გზას: თან გემის ერდოზე ლეკური და სიმღერა გაჩაღდა რამაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. უხაროდეს ბათომის საზოგადოებას, რომ ასეთი საზოგადო საქმეში დაუზარელი ოჯახობა ემატება, ხოლო სოხუმის ისედაც მცირე საზოგადოება დიდხანს სწუხდეს იქნება ამ დანაკლისს.

სოხუმს სწორედ ბედი არა აქვს წერეთლის ოჯახობასთან ერთად აქედგან გადაიყვანეს მეორე სიმპატიური ოჯახობა. ეს გახლდათ ბუჰგალტერი, აქაურის ხაზინისა ბ-ნი ილ. ოსიტაშვილი, რომელიც გადაყვანილ იქმნა ქუთაისში ახლად გახსნილ სახაზინო პალატაში მოსამსახურედ.

გ. ბარკალაია

*** **ქ. ლენქორანი. აქაურების ყოფა-ცხოვრება.** ქალაქი ლენქორანი მშვიდი, უშფოთველია. ისე გადის დღეები, კვირეები და თვეები, რომ ხმა მაღლა ლაპარაკს ვერ გაიგონებთ ქუჩებზე, ჩხუბსა და აყალ-მაყალს ხომ სრულებით ვერ შეხვდებით. აქაური მკვიდრნი—თათ ები—მეტის მეტი დაფთხალი, ადამიანურ ნიშან წყალ მკლებული და ღარიბები არიან, სასმელს არ ეტანებიან და ისე კი, აბუჩათ აგდებულებს, სათამაშო, არა აქვთ რა...

აქაური სომხობა—გამორჩენის ხალხია. გაგიცინებს, გაგიჯირითებს და გაგატყავებს. მათი მაღაზიები სწორეთ „აფთიაქია“, რა ფასსაც გთხოვენ, უნდა მისცეთ თორემ ზედაც არ დაგახედებენ სავაჭროზე. მოგეცათ ღვთის წყალობა, კარგი იყოს ოლაყბობოთ, ულიქინოთ ვაჭრობა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ულვთო ფასებს თხოულობენ ძალა-უნებურად უნდა გადაიხადოთ.

ურიები ხომ მხდალები არიან და მხდლები მაშასადამე ლენქორანის ამფორიაქებელი არავინაა. ასეთივე მშვიდი და დაქვეითებული უნდა იყოს ლენქორანის მაზრაცა. არავითარი შემაძრწუნებელი და მაინც და მაინც მკვირდთა თავის მოსაჰრელი ავაზაკობ-ავკაცობა არ მომხდარა რა ჩემ აქ ყოფნაში მაინც-კი... აქაც, როგორც თითქმის ყველგან მთელ რუსეთში, უმეცრება, უვიცობა და სხვათა შემავიწროებელ გარემოების მეოხებით—გაიგონებთ ქურდობისა და მტაცებლების სახელს, მაგრამ მთავრობის თვალები, როგორც ეტყობა, უფრო სრული უნდა ჰქონდეს გატეხილი ლენქორანის მაზრისა... იმას გარდა, რომ რუსეთის სამზღვრებს იცავს ეგრედ წოდებული „პოგრანიჩნაია სტრაჟა“, რომლებიც „პოსტებათ“ არის დაყოფილი და თვალ-ყურს ადევნებს კონდრაბანდისტებს ამ ზაფხულს ახალი რაზმები დანიშნეს სამზღვრების გასამაგრებლად ასი კაცი ყაზახთაგანი და ოცდა თორმეტი კაცი—შემახიის პოლკიდგან. ამ ოცდა თორმეტ ჯარის კაცში ოთხი ქართველიც ურევია და ჰმეთაურობს შემახიის პოლკის „უჩებნია კომანდის“ უფროსი თავადი ვარდენ წულუკიძე. წულუკიძის ხელ-ქვეითი რაზმი რამდენიმე დღეს დარჩა ლენქორანში და სამზღვრებზე მალე გაჰგზავნეს, უფრო-რე კონტრობანტისტების სათვალ-თვალებლად...

ახლა ვიკითხოთ, ვინ არიან კონტრაბანდისტები? საზოგადოების აზრით ისინი ავაზაკები, თავზე ხელ აღებული ხალხია, რადგანაც საქონლის გამოტანის დროს ბევრ ჯარის კაცს ხოცავენ და თითონაც თავს აკლავენ. მართალია, მარტო თავზე ხელ-აღებული და გაჭირვებული კაცი თუ გაბედავს ქურდობასა და შეიარაღებულ ჯარის კაცებთან შებმას, მაგრამ უმიზეზოთაც ხომ არა ხდება რა?

მოგეხსენებათ, თანამედროვე ცხოვრების ჩარხი ვაჭრობაა, ფულია. მოკლეთ, რომ ვსთქვათ, ყოველი ერი, ყოველი სახელმწიფო სცდილობს ბაზარი მოუპოვოს თავის ნაწარმოებს და ფული, გავლენა შეიძინოს. მიტომ საშინელი ქიშპობა აქვთ სახელმწიფოებს ერთმანერთში, არა ჩემი სავაჭრო გავრცელდეს, არა ჩემიო. ამ ქიშპობას ის მოსდევს, რომ ხშირათ ადგილობრივი ნაწარმოებნი ადგილობრივ უფრო ძვირად ღირს ვიდრე სამზღვარ გარეთ. ეს კიდევ იმიტომა ხდება, რომ სამზღვარ გარეთ გასაგზავნ საქონელს მთავრობა სახელმწიფო ხარჯს არ ახდევინებს. ამითი რასაკვირველია ერთი, სახელმწიფოს ნაწარმოები იაფდება და ეცილება მეორისას, რომელიც იმავე ბაზარზე გამოდის. ამ შემთხვევაში რუსეთი სცდილობს სხვათა შორის სპარსეთშიაც მოიპოვოს ბაზარი ეცილება ინგლისს და სხვათა. ამიტომ, მაგალითად, გირვანქა შაქარი ლენქორანში 18 კაპიკი რომ რდის იქვე, 30—40 ვერსის იქით, იგივე შაქარი გირვანქა ღირს 9—10 კაპ. მაგრამ განა მარტო შაქარი? ერთი ორათ იაფია სპარსეთში რუსეთის თითქმის ყველა ნაწარმოები. აი ეს სიიაფე და სიახლოვე სამზღვრისა ჰბადებს აქ კონდრაბანდისტებს. სამუშაოსა, დედულ-მამულს მოკლებული, თუნდა უვიცობისაგან გამცონარებული და ფულის მოგებით გატაცებული ხალხი გადადის თითო-თითოთ, ან გუნდებით სამზღვარზე, ჩუმათ გამოაქვს რუსეთისავე საქონელი უკან და რუსეთშივე ასაღებენ იმაზე იაფათ, როგორც ადგილობრივ იყიდება. საზარალო და მავნებელი ხელობაა, მაგრამ ფული უფრო დიდი ეშმაკია, უფრო დიდი მაცდურია. იგი აქეზებს მშვიდობიან მკვიდრთ, ხოლო გარემოება, ასეთი თვალ-საჩინო განსხვავება ფასებისა და ფულის ქონვის აუცილებლობა ცხოვრების განსაგრძობად აბრიყვებს სამზღვარზე მცხოვრებ ბოგანო ხალხს და ისინიც თავს სალანძღავათ, დასაკლავათ აღარ ინანებენ...

ი. ცანი

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „თ. ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, წერილი პირველი, მეგახლავარისა“. ეს ეტიუდი დაწერილია საიუბილეო დღისათვის. წიგნი შეიცავს 48 გვერდს დიდი ზომისას და ღირს ერთი აბაზი. სანამ რასმე ვიტყოდეთ შინაარსზე, ჩვენ გვინდა მკითხველებს ვაცნობოთ, თუ რა საინტერესო სათაურები აქვს ამ წიგნს:

I. თ. ილია ჭავჭავაძის მშობლები.

II. ქართველობა და მისი ლიტერატურა თ. ილია ჭავჭავაძემდის.

III. ი. ჭავჭავაძის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე და მისი პირველი პოლემიკა.

IV. მნიშვნელობა ი. ჭავჭავაძისა ქართულს ლიტერატურასა და ცხოვრებაში, როგორც პუბლიცისტისა.

V. თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი-მოლექსე.

VI. თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტი.

VII. გვაქვს საბუთი სიამაყისა.

## რედაქციისაგან

**სად. ყვირილაში.** ერ. ჩხარტიშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. თქვენს საჩივარს მ. დ—ძეზე უფრო სასამართლოში აქვს ადგილი, ვიდრე გაზეთში.

**სოფ. დიმში** სოლ. დიმელს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

## სხვა-და-სხვა ამბები

საკუთარი ქარხნის დაწვის განზრახვა. ქ. ლოდზში ამ დღეებში ერთი ტრიკოს საქსოვი ქარხანა კინაღამ ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა. ქარხნის შენობის მეორე სართულში ყველაფერი მომზადებული იყო ცეცხლის გასაჩენათ. მატყლით და ბამბით სავსე შენობის შუა გულ იმყოფებოდა თუნუქშემოჭედილი და გაზეთილი ყუთი; ცოტა მოშორებით იყო ორი ნავთიანი ვედრო და ორი ბენზინიანი ბუშტი. ამ ნავთისა და ბენზინის ზემოდან ჩამოკიდებული იყო კანდელი, რომელშიაც ერჭო სანთელი. სწორედ იმ დროს, როცა შენობაში ვიღაც ლებსონი შევიდა საღამოს 7 საათზე მუშაობის გათავების შემდეგ და გაჰკრა წუმწუმა ქარხნის პატრონის განზრახვის ასასრულებლად, სრულიად მოულოდნელად შეაჩერეს იგი პოლიციის ჯაშუშებმა, რომლებიც იქვე მახლობლად ჩასაფრულიყვნენ და რომლებსაც ქარხნის პატრონის განზრახვა უკვე გაეგოთ. შესანიშნავია, რომ სწორედ იმ დროს, როცა ქარხანას გადაწვას უპირებდნენ, ქარხნის პატრონი ებრაელი ბარუხი, თორაში დაესწრო თავისი ნათესავი ქალის გვირგვინობას, საიდანაც იგი მიიწვია პოლიციაში და შეიპყრო. ქარხნის პატრონი მეორე დღეს გამოუშვეს სატუსაღოდან 40,000 მანეთის თავდებით. ქარხანა დაზღვეულია სამ საზოგადოებაში 160,000 მანეთად. საქონელი დაგირავებულია კერძო ბანკებში.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

14 ივნისი.

**მადრიდი.** კერძო დეპეშა გონკონგიდან: „ისპანიის საელჩომ გაიგო მანილიის მიერ იარაღის დაყრა. უცხოელი მეზღვაურები ნაპირზე გამოვიდნენ თავიანთ თანა-მემამულეთა სიცოცხლისა, ქონებისა და წეს-რიგის დასაცველად.

დედოფალმა ხელი მოაწერა დეკრეტს კორტესების სხდომის შეწყვეტის შესახებ.

სავასტამ ჟურნალისტებთან საუბრის დროს თქვა, არავითარი ცნობა მანილიის მიერ იარაღის დაყრის შესახებ არ მომსვლია.

სენატსა და პალატაში წაკითხულ იქმნა დეკრეტი კორტესების სხდომის შეწყვეტის შესახებ.

**პარიზი.** პროგრესისტებისაგან შევიწროების გამო პეიტრალმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე. პეიტრალმა განმარტა, პროგრესისტებმა იმიტომ არ გამიწიეს დახმარება, რომ ერთი რადიკალ-სოციალისტისათვის მინდოდა მიმეცა პორტფელიო: ფორმა სასახლეში მიიწვია ბრისონი.

რეინაკს დეკრეტის ძალით ჩამოერთვა ტერიტორიის ჯარის კაპიტანობა.

**ვაშინგტონი.** ხირაგუადან იუწყებიან, რომ ამერიკის ჯარი მიუახლოვდა სანტ-იაგოს და ხარაგუაში ამერიკის დროშა აღმართა. ზარბაზნების სროლამ ცოტა ხანს გასტანა. ისპანიელები კვლავ უკან იხევიან. ბედის გადამწყვეტ შეტაკებას რამდენიმე დღის შემდეგ მოელიან.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულია დეპეშა კაირიდან, რომელიც იუწყება, რომ ხალიფი გაიქცა ხართუმიდან სამხრეთისაკენ, ელ-ომეიდისა და კორდოფანის მხარეზე. სწორედ ეს შეიქნა იმის მიზეზი, რომ სარდარი ჯართან წავიდა, დაუყონებლივ უკან გამოსადგომად.

**ნიუ-იორკი.** ხარაგუაიდან იუწყებიან, რომ ათასი ამერიკელი თავს დაესხა ორი ათას ისპანიელს სანტიაგოდან ხუთი მილის სიშორეზე. ამერიკელებმა ქალაქში გააქციეს ისპანიელები. ამერიკელებს მოუკლეს 15 კაცი და დაუჭრეს 50. ამერიკელ კავალერიამ მოიშველია ქვეითი ჯარი და ადგილი დაიჭირა სანტ-იაგოს კარებთან. განუწყვეტლივ მოდის დიდი ჯარი ქალაქზე თავდასხმისათვის მოსამზადებლად.

**მადრიდი.** „კორესპონდენცია“-ს გაუგონია, რომ მოლაპარაკება დაწყებული ზავის ჩამოგდების შესახებ: შეერთებული შტატები მოითხოვენ: პორტორიკოს დასაკუთრებას სამხედრო სასყიდლად, კუბას დამოუკიდებლობას ამერიკის უმაღლესი მფარველობის ქვეშ, ზღვის სადგურის დათმობას ფილიპინის კუნძულებზე და კუთხის სადგურისას კანარის კუნძულებზე.


## განცხადებანი

### ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—5)

### ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი შვენიერს ქაღალდზედა მშვენიერსავე ყდით (თითო) . . . . 2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . „—80
იგივე მშვენიერი ყდით . . 1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი. . . „—25
ხალხური ზღაპრები I ნაწილი „—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . . 2—50
იგივე ტომი III . . . . 1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . . 1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . 3—„
ჩანგი . . . . . . . . 1—„
სოფლ ისკუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . 0—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I 1—“
იგივე კარგს ქაღლდზე მშვენიერი ყდით . . . . . 2—50
იგივე ტომი II . . . . . 1—„
იგივე კარგს ქაღალდ მშვენიერი ყდით . . . . 2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . .
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . „—57
იგივე კარგს ქაღალდზე . . 1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . 1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . . 1—„
იგავ-არაკნი, მისივე . . . „—20
ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . . 2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . „—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი . . . . . . „—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა „—50
ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . . . „1—
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩის, . .1—50
დასტურ-ლამა თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა . . . „—52
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . . „—30
სიბრძნე ბალავარისა . . . „—30

(100—85)

გამოვიდა დ ისყიდება ჲაზეთ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა

### სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე

პოემა

თავ. კოწია დადიანისა

ფასი **2** კაპ.

ასი ცალი იყიდება 1 მ. 40 კ.
ორასი — — 2 მ. 50 კ.
სამასი — — 3 მ. 60 კ.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

ახლად გახსნილი

### სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად. სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

**ТИПОГРАФІИ**

**„Цнобисъ Пурцели“**

В Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д Грузинскаго Дворианства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

### ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის ჰარველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქუჩა № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს მე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს მე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543

(50—8)

Годъ II. На 1898 годъ продолжается подписка на иллюстрированное ежемѣсячное изданіе Годъ

**НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ**

**ИСКУССТВА и НАУКИ**

**Болѣ 1.500 иллюстрацій на лучшей бумагѣ**

Въ ближайшихъ книгахъ будутъ напечатаны, сверхъ того **переводы неизданныхъ на русскомъ яз. сочиненій: ЖАНА ПОЛЯ РИХТЕРА, А. ТРОЛОПА** (Романъ) ОЧЕРКИ **ГЮИ ДЕ МОПАСАНА,**

ИЗБРАННЫЯ ПРОИЗВЕДЕНЫЯ **СТЕНДАЛЯ, НОРМАНЫ ВЪ ВИЗАНТІИ** (Историч. романъ) Повѣсти и разсказы новѣйшихъ французскихъ новеллистовъ, англійскихъ, американскихъ и польскикъ юмористовъ. художественная историко-литературная монографія

„Женщина въ искусствѣ“ (болѣе 300 гравюръ).

**Парвая книга «Новаго журнала Иностранной Литературы» печатается вторымъ изданіемъ**

**Подписная цѣна на 1898 Г.:**

Годовая (съ 1-го января 1898 г.) Безъ доставки **4 Р.**, съ доставкой и пересылкой **5 Р.**,
Полугодовая Безъ доставки **2 Р. 50 К.**, съ доставкой и пересылкой **3 Р.**,

**годовые подписчики на 1898 годъ безплатно получатъ начало романа Э. ЗОЛА «ПАРИЖЪ».**

Для г. г. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

Подписка принимается ВЪ РЕДАКЦІИ «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ»—С.-Петербургъ Конногвардейскій бульваръ, 13 въ книжномъ магазинѣ »Новаго Времени» (Невскій, 38). ВЪ МОСКВѢ—конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается разсрочка, а также принимается только годовая подписка **безъ доставки въ Москвѣ—Ц. 4 Р. 50 К.** Иногородніе и подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ» (С.-Петербургъ, Конногвардейскій булваръ 13).

(12—9) *Редакторъ-издатель Θ. И. БУЛГАКОВЪ.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Іюня 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (გ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გ.